ამოზნექილ სიმრავლეთა ზოგიერთი ოჯახისა და OT-სიმრავლეების შესახებ

მოხსენებაში განვიხილავთ ევკლიდური სივრცის ამოზნექილ ქვესიმრავლეთა გარკვეული ოჯახების ზოგიერთ თვისებას. წარმოვადგენთ ამ თვისებების გამოყენებას ამოზნექილ სხეულთა დამოუკიდებელი ოჯახების შესაბამისი თვისებების დადგენისათვის. ამასთანავე, განვიხილავთ სასრული წერტილოვანი OT-სიმრავლეების უსასრულო თვლად OT-სიმრავლეებამდე გაფართოების საკითხს. მოვიყვანთ დებულებას სასრული OT-სიმრავლის შემოსაზღვრულ, უსასრულო, თვლად OT-სიმრავლემდე გაფართოების შესახებ.